

ნინო ნილოსანი¹

ევროკავშირის პოლიტიკა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის
ქვეყნების მიმართ

აბსტრაქტი

ევროკავშირი, როგორც თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მოქმედი გლობალური აქტორი, დაინტერესებულია სამეზობლო რეგიონში კონფლიქტის მოგვარებითა და დემოკრატიის ხელშეწყობით. იმის გასარკვევად, თუ რა არის ევროკავშირის მიდგომისა და საგარეო პოლიტიკის საფუძველი აღმოსავლეთ სამეზობლოში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ევროკავშირის მონაწილეობა პოსტსაბჭოთა რეგიონში მჭიდროდ არის დაკავშირებული მის რუსეთთან ურთიერთობებთან. საქართველოში, სომხეთ-აზერბაიჯანში, მოლდოვასა და უკრაინაში არსებული კონფლიქტების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ ევროკავშირს ურჩევნია, გამოიყენოს კონსტრუქციული ჩართულობა როგორც პარტნიორობის ინსტრუმენტი, ვიდრე გაატაროს ყოვლისმომცველი სანქციების პოლიტიკა. რაც მთავარია, ევროკავშირს არ აქვს ჰოლისტიკური მიდგომა, როდესაც საქმე ეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს და მის მონაწილეობაზე გავლენას ახდენს სამი ძირითადი ფაქტორი: ევროკავშირი-რუსეთის ურთიერთობები, ევროკავშირის ინტერესები კონკრეტულ სახელმწიფოში და ევროკავშირის საშინაო პოლიტიკისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. გარდა ამისა, ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობების რთული ხასიათი, რაც შემდგომში ვლინდება ევროკავშირის გაყინულ კონფლიქტებში მონაწილეობაში, შეიძლება აიხსნას კონსტრუქტივისტული თეორიის გამოყენებით.

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს აკადემიური ლიტერატურის განვითარებაში წვლილის შეტანას სამი მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, არსებული კვლევების უმეტესობისგან განსხვავებით, პოლიტიკის ეფექტურობის ნაცვლად იგი აქცენტს აკეთებს თავად ევროკავშირის ბუნებაზე. მეორე, ევროკავშირის ეფექტურობის დასაბუთებისთვის იყენებს ორმაგ მიდგომას და აფასებს როგორც შიდა, ისე გარე დაძაბულობას და მათ კორელაციას. და ბოლოს, ევროკავშირის როლის შესახებ დასკვნას აყალიბებს სხვადასხვა ჩართულობის დონისა და დაძაბულობის მქონე შემთხვევებიდან და არა მათი საერთო ელემენტებისგან.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ევროკავშირი-რუსეთის ურთიერთობები, გაყინული კონფლიქტები, კონსტრუქტივიზმი, კონსტრუქციული ჩართულობა.

შესავალი

დღიდან დაარსებისა ევროკავშირმა მრავალი კომპლექსური რეფორმა და ცვლილება განიცადა, რამაც საბოლოო ჯამში უზრუნველყო მისი, როგორც საერთაშორისო სისტემის, ძალზედ მნიშვნელოვანი, გლობალური აქტორად გარდაქმნა. ლისაბონის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ევროკავშირმა ფუნ-

¹ ნინო ნილოსანი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული; აღნიშნული სტატია წარმოადგენს ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაცულ სამაგისტრო ნაშრომს; ელ-ფოსტა: ntsilosani@yahoo.com

ქციონალური სახელმწიფოს მსგავსი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტები შეიძინა. ევროკავშირისთვის რეალურ პრობლემას მის ხელთ არსებული რეალური საშუალებების ეფექტურად გამოყენების შეუძლებლობა წარმოადგენდა. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირი აქცენტს აკეთებს რბილ ძალაზე, სამართლებრივ დახმარებასა და ორმხრივ დიპლომატიკაზე, მას უჭირს თანამედროვე სამყაროს ნორმებთან მორგება, რომლებიც ძირითადად ძალაზე დაფუძნებული პოლიტიკით იმართება (Lehne, 2017, p.3), შესაბამისად მისი პოლიტიკა პოსტსაბჭოთა რეგიონში დიპლომატიური ინსტრუმენტებისთვის პრიორიტეტის მინიჭების ნათელი მაგალითია.

დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით და მეზობელ რეგიონებში დემოკრატიის პოპულარიზაციით, ევროკავშირი აქტიურად არის ჩართული კრიზისების მენეჯმენტში. ევროკავშირის ძალაუფლების მთავარი წყარო მდგომარეობს მის მიმზიდველობაში, რომელიც ემყარება ეკონომიკური ზრდისა და განვითარების დაპირებას. ამავდროულად, რუსეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში თავისი სამხედრო ჩართულობით გაამძაფრა მთელი რიგი გაყინული კონფლიქტები (Nitou, 2016). უფრო მეტიც, თავისი სამხედრო ძალა გამოავლინა რიგ შემთხვევებში. სინამდვილეში, რუსეთის მიერ წარმოებული ომი საქართველოსთან და ყირიმის ანექსია ნიშანი იყო, რომ ოფიციალური მოსკოვი მიზნად ისახავდა დიდი ძალის სტატუსის აღდგენას და ქვეყნის ხელმძღვანელობას ჰეგემონიური ზრახვები განუვითარდა პოსტსაბჭოთა რეგიონისადმი (Cornell & Starr, 2009).

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ურთიერთობა რუსეთთან უდიდეს როლს ასრულებს პოლიტიკის შემუშავებაში, რასაც ემატება ისეთი ფაქტორები, როგორცაა ევროკავშირის ინტერესი რეგიონში და შიდა დაძაბულობა. იმის გამო, რომ ეს სამი ძალიან იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს, ევროკავშირი ვერ ახერხებს ერთიანი მიდგომის შექმნას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ. ამ ნაშრომის მიზნებისთვის უნდა განისაზღვროს, რომ ჰოლისტიკური მიდგომა გულისხმობს: "როდესაც რაიმე სახის ელემენტები გაერთიანდება, ამ კომბინაციის საფუძველზე ისინი წარმოშობენ ახალ მოვლენებს. ამიტომ ადამიანი იძულებულია წარმოიდგინოს, რომ ეს ფენომენი ცხოვრობს არა ელემენტებში, არამედ ამ ელემენტების გაერთიანებით შექმნილ ერთობაში" (List, Spiekermann, 2013).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ევროკავშირის ურთიერთობა ამ სახელმწიფოებთან, რომლებსაც რუსეთი განიხილავს საკუთარი გავლენის სფეროდ. ვინაიდან ევროკავშირი ძირითადად ნორმატიული ძალაა, რაც "თავის თავში მოიაზრებს იდეურ და არა მატერიალურ ან ფიზიკურ ფორმას" და ნიშნავს, რომ მისი გამოყენება მოიცავს ნორმატიულ რაციონალიზაციას, და არა სამხედრო ძალას, როგორც ეს ფიზიკური და საერთაშორისო პოლიტიკის შემთხვევაშია (Manners, 2009). ევროკავშირის, როგორც ნორმატიული ძალაუფლების ცნება სცილდება აკადემიურ სფეროს. ის მიღებულია ევროკავშირის პოლიტიკის შემქმნელების მიერ და წევრი ქვეყნების პოლიტიკური დისკურსის რეგულარული ნაწილია (Bickerton, 2011). იგი მიზნის მიღწევას ცდილობს რეგიონში კონსტრუქციული ჩართულობით. ამ ტიპის საგარეო პოლიტიკის შემუშავების მთავარი იდეაა ორმხრივი შეთანხმებებით კონკრეტულ სფეროში გარკვეული დონის ინტეგრაციის მიღწევა. გარდა ამისა, სახელმეკრულებო შეთანხმებები არის გრძელვადიანი და სტრუქტურული ცვლილებების ხელშემწყობი საშუალებები, როგორც პარტნიორ ქვეყნებთან, ისე თავად ამ ქვეყნებს შორის. ეს არის ევროკავშირის გზა კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად. (Tocci, 2007) თავად კონსტრუქციული ჩართულობა უფრო ვიწრო პოლიტიკაა, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის ნორმატიულ ძალას. მაგალითად, ასოცირების ხელშეკრულებები საქართველოსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან ერთად გრძელვადიანი სტრუქტურული ცვლილებების ხელშემწყობი საშუალებები იყო. კონსტრუქციული ჩართულობა დიდწილად დამოკიდებულია ევროკავშირის ამჟამინდელ შიდა დაძაბულობაზე და ძირითადად მის პოლიტიკურ ინტერესებსა და რუსეთთან ურთიერთობას შორის მდებარეობს. ევროკავშირის ურჩევნია, დააჯილდოვოს სახელმწიფოები, ვიდრე გამოიყენოს ქმედითი სანქციები რუსეთის მიმართ, გარდა უკრაინის შემთხვევისა.

პოსტსაბჭოთა რეგიონში ევროკავშირის საქმიანობისა და პოლიტიკის დასაბუთების შესამოწმებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს სამი ძირითადი ფაქტორი: ევროკავშირი-რუსეთის ურთიერთობები, კონკრეტულ სახელმწიფოში ევროკავშირის ინტერესები და ევროკავშირის შიდა დაძაბულობა (ძირითადად რუსეთის ორმხრივი ურთიერთობები წევრ სახელმწიფოებთან). მთლიანობაში ევროკავშირის ინტერესები და წევრი ქვეყნების ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ იმისათვის, რომ კონკრეტული მიდგომა შემუშავდეს, შეიძლება ითქვას, რომ საჭიროა სამივეს კორელაცია. მოგვიანებით ვნახავთ, რომ ამ ფორმულიდან ერთი ცვლადის არარსებობამ შეიძლება გამოი-

ნვიოს მიდგომის ქმედუნარობა. მოცემული ფაქტორების კომბინაცია ინვესტს ევროკავშირის მხრიდან არამდგრად დამოკიდებულებას; შედეგად ვიღებთ მსგავსი ტიპის კონფლიქტებისადმი ერთმანეთისგან განსხვავებულ მიდგომას.

ევროკავშირის ჩართულობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მჭიდრო კავშირშია რუსეთთან ურთიერთობებთან. ერთი მხრივ, ევროკავშირი ვერ ეწინააღმდეგება რუსეთს რეგიონში, რადგან მხოლოდ ნორმატიულ ძალად რჩება, მაგრამ მეორეს მხრივ, ზოგიერთ სახელმწიფოში მისი კონსტრუქციული ჩართულობა წარმატებული აღმოჩნდა. ევროკავშირის მხრიდან არ არსებობს ერთიანი მიდგომა და ის განსხვავდება კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ ინტერესის, შიდა დაძაბულობისა და გარე ფაქტორების მიხედვით.

1. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები და გაყინული კონფლიქტები

1991 წელს საბჭოთა კავშირისთვის ცხადი გახდა, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი მალე მიიღებდნენ დამოუკიდებლობას, რაც, თავის მხრივ, რეგიონის პოლიტიკური სტრუქტურის შეცვლის და დასავლური ძალის გაძლიერებას გამოიწვევდა. შედეგად, გორბაჩოვმა მოცემულ ქვეყნებში დამანგრეველი რეფორმების გატარებას შეუწყო ხელი.

საქართველოში, აფხაზეთის რეგიონში ადგილობრივმა მთავრობამ ოფიციალური მოსკოვისგან მიიღო განკარგულება, დაეწყო პროპაგანდა აფხაზეთის სუვერენიტეტის შესახებ (Lynch, *Why Georgia Matters*, 2006). აფხაზ ელიტურ ჯგუფებს უკვე ეწინოდათ საქართველოში ნაციონალიზმის აღზევების გამო და ხელი მოაწერეს ე.წ. “ლიხნის დეკლარაციას”, რომელშიც აფხაზეთის რესპუბლიკის შექმნის იდეა იყო გაჟღერებული. გარდა ამისა, აფხაზეთის რეგიონის ლიდერები, საქართველოსგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირის მომხრენი რჩებოდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათთვის ეს მიდგომა საქართველოსგან გამოყოფის მთავარ იდეად იქცა (Lynch, *Why Georgia Matters*, 2006). კონფლიქტის დასაჩქარებლად, რუსულმა სპეცსამსახურებმა ჩამოაყალიბეს აფხაზეთით განვრთნილი რაზმები და შეიარაღება მიანოდეს რუს სამხედროებს. მიუხედავად ამისა, რუსეთი დიდი ხანი იყო ჩართული მოლაპარაკებებში. თუმცა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ გამოიწვია შუამავლის როლის შესრულების უფლების დაკარგვა. აფხაზეთის მოსახლეობის 94% ფლობს რუსულ პასპორტს, საუბრობს რუსულ ენაზე და ეროვნული ვალუტა არის რუსული რუბლი. საქმე უფრო რთულია ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში, რადგან იგი მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული და ღიად განიხილავს მასთან ინტეგრაციის საკითხს.

საინტერესოა, თუ რატომ დახარჯა რუსეთმა ამდენი რესურსი სეპარატისტული სახელმწიფოების დასახმარებლად: პირველი, იმიტომ, რომ არასტაბილურობა საქართველოს ნაკლებად მიმზიდველს ხდის დასავლელი პარტნიორებისთვის, განსაკუთრებით ნატოსთვის. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გამოყოფა საქართველოს არ აძლევს ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებთან თანამშრომლობის საშუალებას. ასეთი ქმედება სასარგებლოა რუსეთისთვის, რადგან იგი ხელს უშლის საქართველოს გახდეს კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ მიმართული კოალიციის ლიდერი და თავიდან აიცილოს სეპარატიზმი საკუთარი ქვეყნის ძლიერი იმიჯის შექმნით. რუსეთის ხელისუფლებას ურჩევნია არამდგრადი სამხრეთ კავკასიის კონტროლი, ვიდრე სტაბილური რეგიონის შორიდან ყურება (Gvalia, Siroky, Lebanidze, & Iashvili, 2013).

რაც შეეხება სომხეთსა და აზერბაიჯანს, ეთნიკური დაძაბულობა რეგიონში მას შემდეგ გახდა ცხადი, რაც მთიანი ყარაბაღის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტმა 1988 წლის 20 თებერვალს მხარი დაუჭირა რეგიონის გაერთიანებას სომხეთის სსრ-სთან. საბჭოთა კავშირის დაშლამ კიდევ უფრო გაზარდა სომხური სეპარატისტული მოძრაობის ინტერესი. 1991 წლის მცირე ომის შემდეგ, კონფლიქტი 1992 წლის ბოლოს სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა. გარდაიცვალა დაახლოებით 25000-ზე მეტი ადამიანი და მილიონზე მეტმა აზერბაიჯანელმა, სომეხმა, მუსლიმმა ქურთმა და სხვებმა სამუდამოდ დაკარგეს სახლები. 1980-იანი წლების მეორე ნახევრისთვის სსრკ უკვე დაშლის პირას იყო და მისი მთავრობის მიერ სამხედრო ძალების გამოუყენების შანსი ნელ-ნელა იკლებდა. ეს შემთხვევა იმითაც იყო გამორჩეული, რომ პრობლემის გადასაჭრელად 1988–1989 წლებში ნესრიგი მოსკოვის პირდაპირი მმართველობით დამყარდა (Broers, 2015, გვ. 556).

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რუსეთის ინტერესი არსებული კონფლიქტის შემდგომი გამწვავებისა და „გაყინვისადმი“ ძალიან დიდი იყო, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში რუსეთს შეეძლო შეე-

ნარჩუნებინა თავისი როლი, როგორც მთავარი მოთამაშისა და მომლაპარაკებლის. ეს იყო რუსეთის სტრატეგია - კონფლიქტის მონაწილეები მოხვდნენ მისი გავლენის ქვეშ, ისევე როგორც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში. მოცემულ კონფლიქტში სტატუს კვოს შენარჩუნება განპირობებულია რუსეთის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინტერესით - აზერბაიჯანის ენერგეტიკული რესურსებით. კასპიის ზღვის აუზში ამერიკული ინვესტიციების კვალდაკვალ, გაძლიერდა რუსეთის ენერგეტიკული და ეკონომიკური პოლიტიკა აზერბაიჯანის მიმართ. ამკარაა, რომ ოფიციალური მოსკოვი ცდილობს გააძლიეროს კავშირები აზერბაიჯანთან ეკონომიკის სტრატეგიულ სექტორებში.

დნესტრისპირეთის კონფლიქტი 1989-90 წლებში პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პროცესებში წარმოიშვა. 1988 წლამდე “დნესტრისპირეთი” არც პოლიტიკური ერთეული იყო და მეტიც, ეს ტერმინი საბჭოთა კავშირში არ არსებობდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს, დნესტრისპირეთი დასახლებული იყო ნაწილობრივ რუსულენოვანი ელიტით, ნაწილობრივ კი რუმინულენოვანი მოსახლეობით, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწეოდა. ხელმძღვანელობის ყველა საფეხურის მოლდოვიზაციამ რუსულენოვანი ელიტებში თანამდებობების დაკარგვის შიში გამოიწვია. საბოლოოდ, რუსულენოვანი ავტონომია/სეცესია გამოიწვია მოლდოვის ხელმძღვანელობის მიერ ახალი საბჭოთა ხელშეკრულების უარყოფამ და 1990 წლის მოლდოვის სუვერენიტეტის დეკლარაციამ, რომლის მიხედვითაც მოლდოვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მთელი ქონება რესპუბლიკის საკუთრებაში გადავიდა (Bücher, 2016, 25). ამკარა იყო, რომ კვბ-ს მაღალი რანგის წარმომადგენლები და საბჭოთა მინისტრები მხარს უჭერდნენ სეპარატისტებს. რუსეთის მხარდაჭერა კიდევ უფრო ამკარა გახდა, როდესაც დნესტრისპირეთის ქალაქ ტირასპოლის გარშემო მე-14 არმია განლაგდა (Bücher, 2016). საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობამ ხელში ჩაიგდო დარჩენილი მარცხენა სანაპირო, ოფიციალური კომინიოვის კონტროლის აღდგენის მცდელობებმა მარცხი განიცადა 1992 წელს სამხედრო შეტაკებების დროს. “მოლდოვის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის” სტატუსი წლების განმავლობაში გაურკვეველი რჩებოდა.

ენერგეტიკა და ვაჭრობა მოლდოვისთვის მნიშვნელოვან ინტერესებს წარმოადგენს, რომელიც მთლიანად რუსულ ნახშირწყალბადებზეა დამოკიდებული. 2014 წელს მოლდოვის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა პრეტენზია გამოთქვეს რუსეთის მხრიდან მწვავე ზენოლის გამო, რომელიც ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას უკავშირდებოდა. თუმცა, მოლდოვაში, ისევე, როგორც საქართველოში, არსებობს ე.წ. “გაყინული კონფლიქტი”, რაც ქვეყანას მკვეთრად უზღუდავს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას, რომ განახორციელოს მისთვის სასურველი პოლიტიკა, რამდენადაც რუსეთი დნესტრისპირეთის ფინანსური მხარდამჭერია და, ასევე, მოქალაქეებზე ხდება რუსული პასპორტების გაცემა (Smith & Harari, 2014).

როდესაც უკრაინის საკითხს განვიხილავთ, აუცილებელი გვახსოვდეს, რომ მას შემდეგ რაც უკრაინის მთავრობამ გადაწყვიტა, ხელი არ მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისთვის და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებისათვის, 2013 წლის ნოემბერში კიევში მასობრივი დემონსტრაციები დაიწყო. “ევრომაიდანის” დემონსტრაციები უფრო აგრესიული გახდა 2014 წლის დასაწყისში და თებერვალში. 2014 წლის 22 თებერვალს, მას შემდეგ რაც ვიქტორ იანუკოვიჩი ქვეყნიდან გაუჩინარდა უკრაინის პარლამენტმა ახალი მთავრობა დაამტკიცა. მოგვიანებით, თებერვალშივე, ამოუცნობმა სამხედრო პირებმა, რომლებიც სავარაუდოდ რუსულ ძალას წარმოადგენდნენ, დაიკავეს ყირიმის აეროპორტი, რომელიც დიდნილად რუსულენოვანი ნახევარკუნძულია და ყირიმის ავტონომიური ასამბლეა პრორუსულმა ძალებმა აიღეს (Smith & Harari, 2014, p. 2). 26 თებერვალს, პრეზიდენტმა პუტინმა უკრაინის საზღვართან 38,000 ჯარისკაცის მონაწილეობით სამხედრო წვრთნების დაწყების ბრძანება გასცა. 2013 წლის ბოლოს რუსეთმა უკრაინის მთავრობა რუსული ობლიგაციების სახით 3 მილიარდი დოლარის დახმარებით მოამარაგა. იმავდროულად, ყირიმის მთავარ საზოგადოებრივ შენობებსა და აეროპორტებში გამოჩნდა სრულად სამხედრო აღჭურვილობის მქონე ერთეულები, რამაც გაზარდა რუსეთის სამხედრო ჩარევის შიში (Smith & Harari, 2014).

1-ელ მარტს, რუსულმა პარლამენტმა დაამტკიცა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მოთხოვნა უკრაინაში რუსული ძალების გამოყენების შესახებ. რუსულმა ძალებმა კონტროლი დაამყარეს უკრაინის სამხედრო მონაკვეთებზე ყირიმში, მათ შორის, ბელბეკში, ბალაკლავასა და ქერჩში. ფართომასშტაბიანი პრორუსული დემონსტრაციები ჩატარდა აღმოსავლეთ უკრაინის მასშტაბით, მათ შორის ხარკოვში, სიდიდით მეორე ქალაქში. კრიზისის განხილვისთვის გაეროს უსაფრთხოების საბჭოს საგანგებო შეხვედრა გაიმართა. (Smith & Harari, 2014). 16 მარტს ყირიმის რეფერენდუმის შედეგად მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი. ამის შემდეგ ყირიმის ხელისუფლებამ მოითხოვა

რუსეთის ფედერაციაში შესვლა. ყირიმში უკრაინის შეიარაღებული ძალები კრიზისის დასაწყისში პრო-რუსული ძალებით იყო გარშემორტყმული. 27 თებერვალს სამხედრო ძალებმა კონტროლი დაამყარეს ავტონომიურ პარლამენტზე. თავდაპირველად, რუსეთთან კავშირის შესახებ რეფერენდუმი 30 მარტს დაინიშნა, თუმცა უკვე 6 მარტს ახალმა რეგიონულმა მთავრობამ რუსეთის ფედერაციასთან მიერთების რეზოლუცია გამოაცხადა, რითაც, ფაქტობრივად, წინ გაუსწრო რეფერენდუმის ჩატარებას (Smith & Harari, 2014).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასავლური პოლიტიკისთვის 2008 წლის აგვისტოს ომი პოსტ-საბჭოთა გაყინული კონფლიქტების თავიდან აღმოჩენის დრო იყო. მას შემდეგ, რაც რუსულმა ტანკებმა, რომლებმაც ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი “გათავისუფლეს” და საქართველოში შეიჭრნენ, ორი რამ ნათელი გახდა: პირველი, ფაქტი, რომ პოსტსაბჭოთა რეგიონის გაყინული კონფლიქტები კვლავ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ რეგიონალური სტაბილურობისთვის. მეორე - კრემლის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ასეთი კონფლიქტების გამოყენების, როგორც კონტროლის მექანიზმის, განახლება, რათა თავიდან აიცილოს საკუთარი გავლენის სფეროში არასასურველი საგარეო ჩართულობა (Tudoroiu, 2012, p. 135).

2. ევროკავშირის საგარეო ურთიერთობები

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ევროკავშირის პოლიტიკა მისი საგარეო პოლიტიკური მიდგომების ტიპური მაგალითია. 1990-იანი წლების დასაწყისიდან ევროკავშირი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების პროპორციულად და თანაბრად დახმარებისთვის იყენებდა ტრადიციულ ინსტრუმენტებს ფინანსური გრანტების, ტექნიკური დახმარების და სხვა სახის მხარდაჭერის სახით. ევროკავშირის მიდგომა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ (ბალტიის ქვეყნების გარდა) ამ პერიოდის განმავლობაში თითქმის არ იცვლებოდა (Gogolashvili, 2009).

ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობა 1991-92 წლებში დაიწყო, მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებსა და მის ექვს აღმოსავლეთ მეზობელს (სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსს, საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას) შორის ურთიერთობების გაღრმავებას და განმტკიცებას. (Eastern Partnership, 2019).

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რაც ქვეყნისთვის უპრეცედენტო ინსტრუმენტი იყო, განსაკუთრებით მასში შემავალი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გამო, რის შემდეგაც ევროკავშირი საქართველოს უდიდესი სავაჭრო პარტნიორი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირის ბიუროკრატიულ ინსტრუმენტად ითვლებოდა, იგი გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი საკითხი გახდა (Fix, 2014). შემდგომში, საქართველოსთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა 2017 წელს მოხდა, როდესაც ევროკავშირთან ხელი მოეწერა ვიზალიბერალიზაციის შეთანხმება, რომელიც ბევრმა პოლიტიკოსმა გამოიყენა, როგორც საქართველოს სამომავლო პერსპექტივების საზომი ცვლადი. ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს არის ევროკავშირის “ჯილდო” ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს ურღვევი პოლიტიკური კურსისთვის.

ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს მიმართ წარმოებულმა ომმა შეცვალა ევროკავშირის საქმიანობის ტემპი რეგიონისა და განსაკუთრებით, საქართველოს მიმართ. ევროკავშირის ჩართულობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში შეიძლება გაგრძელდეს მინიმუმ მანამ, სანამ ევროკავშირის მისია დაიშვება საქართველოს სადავო ტერიტორიებზე. ევროკავშირის შუამავლობით წარმოებულ ფენევის მოლაპარაკებებს კონფლიქტის მხარეებს შორის, რომელიც 2008 წლის შემოდგომაზე დაიწყო და გაგრძელდა 2009 წლის ზამთარში, ჯერჯერობით ხელშესახები შედეგი არ გამოუღია. „დასავლეთსა“ და ევროკავშირს რუსეთი რაიმე კონკრეტული ნაბიჯით არ „დაუსჯია“ საქართველოში განხორციელებული აგრესიის გამო, მეტიც, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების ჩვეულად გაგრძელდა მას შემდეგ, რაც რუსულმა ძალებმა დატოვეს საქართველოს კუთვნილი არასადავო ტერიტორიები (Presidency of the EU, 2009).

ევროკავშირი დიდი ხანია საქართველოსთან ურთიერთობებს ინარჩუნებს სამხრეთ კავკასიის რეგიონალური პოლიტიკის კონტექსტში. საქართველო ხშირად ცდილობდა დაეყოლებინებინა ევროკავშირი

უფრო ინდივიდუალური მიდგომისკენ, თუმცა წარსული ურთიერთობების ძირითადი ჩარჩო, პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, არ ითვალისწინებდა სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოებისგან განსხვავებული პოლიტიკის განხორციელებას, მიუხედავად საქართველოს პროგრესისა და ძლიერი მისწრაფებებისა (Gogolashvili, 2009, p. 121).

ევროპის მიდგომა უკრაინის მიმართ დიდი ხანია არასწორია. 2003 წლის ევროპული უსაფრთხოების სტრატეგია ითვალისწინებდა სტაბილური და დემოკრატიული სამეზობლოს ჩამოყალიბებას, თუმცა, ის არ ითვალისწინებდა კონფლიქტის საკითხებს. დისკუსია რუსეთთან დაკავშირებით მჭიდრო ურთიერთობებზე აკეთებდა აქცენტს. ევროპული სტრატეგია გამყარდა 2009 წელს, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით, რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთის მეზობლებთან ურთიერთობების გაღრმავებას. ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ და აღმოსავლეთ პარტნიორობამ თავიდან აიცილა პოტენციური გაფართოების საკითხი ამ რეგიონის ქვეყნების მიმართ. ამის ნაცვლად, ევროკავშირმა მათ შესთავაზა "ასოციაციის პოლიტიკა" (MacFarlane & Menon, 2014).

განვერიანების შესახებ მოლაპარაკებების დროს, რამდენიმე ახალმა წევრმა ქვეყანამ, როგორცაა ესტონეთი, ლიტვა და პოლონეთი, გამოთქვეს სურვილი, ხელი შეუწყონ კიევთან ურთიერთობების განმტკიცებას. მას შემდეგ, რაც ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში პოლონეთის მომავალი ნათელი გახდა, ოფიციალური ვარშავა გახდა უკრაინის მთავარი მხარდამჭერი და ცდილობდა, გავლენა მოეხდინა ევროკავშირის აღმოსავლეთ პოლიტიკაზე რიგ პოლიტიკურ დოკუმენტებში. "ნარინჯისფერი რევოლუცია", როგორც ჩანს, კატალიზატორის ფუნქციას მქონე მოვლენა იყო ევროკავშირისა და უკრაინის ურთიერთობებში (Roth, 2007). მოცემულმა მოვლენამ მოშალა განსხვავება კიევის მიერ გამოცხადებულ ნორმებსა და ევროპულ ფასეულობებს შორის (Vahl, 2004). უკრაინა-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან, რაც ევროკავშირის წევრობისკენ გადადგმულ დიდ ნაბიჯად შეფასდა (Petrov, Van Der Loo, & Van Elsuwege, 2015).

ევროკავშირი უკრაინის კრიზისის დროს მნიშვნელოვან აქტორს წარმოადგენდა. ევროსაბჭომ მკაცრად დაგმო 2014 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმისა და სევასტოპოლის უკანონო ანექსია. ევროკავშირმა მიიღო მკაცრი არალიბერების პოლიტიკა ყირიმის უკანონო ანექსიასთან დაკავშირებით (რომელიც რამდენჯერმე გახანგრძლივდა და კვლავ მოქმედებს) (EEAS, EU-Ukraine relations - factsheet, 2020), დიპლომატიური შეზღუდვები რუსეთის წინააღმდეგ პირველად დაწესდა ევროკავშირის ლიდერების შეხვედრაზე 2014 წლის 6 მარტს. რუსეთისადმი ქმედითი ეკონომიკური სანქციების პირველი პაკეტი 2014 წლის 29 ივლისში გამოცხადდა, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკურ და გაცვლით თანამშრომლობას. ეკონომიკური სანქციების განმტკიცებული პაკეტი 2014 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა. ამავდროულად, ევროკავშირი უშუალოდ მონაწილეობდა ჟენევის 2014 წლის 17 აპრილის ერთობლივ მოლაპარაკებებში (EEAS, EU-Ukraine relations - factsheet, 2020).

1991/1992 წლებში ევროპულმა საზოგადოებამ მოლდოვასთან დაიწყო მოლაპარაკებები პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე, რომელსაც ხელი მოეწერა 1994 წელს და 1998 წელს დამტკიცდა (European Commission 1994). მოლდოვამ 1996 წელს გამოხატა ევროკავშირის წევრობის სურვილი. კომისიამ დაადგინა, რომ მოლდოვა მზად არ იყო მოლაპარაკებების დასაწყებად, სანაცვლოდ, შესთავაზეს ადგილი ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (Niemann & De Wekker, 2010). გარდა ამისა, მოლდოვის მთავრობა იმედოვნებდა, რომ ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა დაეხმარებოდა დნესტრისპირეთის სეპარატიზმის საკითხის მოგვარებას. (Catus & Kosienkowski, 2018, p. 11). ქვეყნის უდიდესი წარმატება იყო ასოცირების ხელშეკრულების (DCFTA ჩათვლით) ხელმოწერა 2014 წელს და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია.

ბრიუსელის ხედვით, მოლდოვასთან ურთიერთობა ძირითადად მიზნად ისახავდა სტაბილურობის უზრუნველყოფას ევროკავშირის ახალ საზღვრებთან, განსაკუთრებით, დნესტრისპირეთის კონტექსტში. პრო-ევროპული მოლდოვა უფრო გამჭვირვალე და საიმედო პარტნიორი გახდებოდა. მოლდოვის ევროკავშირში ინტეგრაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის წევრი ორი ქვეყნისთვის: რუმინეთისა და გერმანიისთვის. რუმინეთისთვის ეს იყო ორმხრივი ურთიერთობების გამოსწორების შანსი, რომელმაც დიდი ზიანი განიცადა საბჭოთა პერიოდში. გერმანიის გადმოსახედიდან, ეს იქნებოდა სასარგებლო ინსტრუმენტი გერმანიის საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლად ევროკავშირის საზღვრის უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების გზით მიგრაციის კონტროლისთვის (Catus & Kosienkowski, 2018, p. 12). თუმცა, 2014 წელს პრო-ევროპული პარტიის მარცხის შემდეგ, დინამიკა მკვეთრად შენედა.

რაც შეეხება დნესტრისპირეთის კონფლიქტს, ევროკავშირი მონაწილეობს დამკვირვებლის სტატუსით 5+2 მოლაპარაკებების პროცესში კონფლიქტის დარეგულირების საკითხზე. იგი განაგრძობს დნესტრისპირეთის სპეციალური სტატუსის, მოლდოვის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე დაფუძნებული მშვიდობიანი დარეგულირების საკითხის მხარდაჭერას (EEAS, 2020).

ევროკავშირი სომხეთთან თანამშრომლობს ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და მისი აღმოსავლეთის პროექტის - აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. სომხეთის კონტექსტში საინტერესოა, თუ როგორ აღიქმება ევროკავშირი სომხეთში: ისინი ევროკავშირს განიხილავენ, როგორც აქტორს, რომელსაც სურს შექმნას ბუფერული ზონა სამხრეთ კავკასიაში და სტაბილური და პროგნოზირებადი სამეზობლო, რაც შეიძლება ნიშნავს კონფლიქტის მოგვარების მცდელობებში უფრო მეტ ძალისხმევას ან სტაბილიზაციის უფრო თავშეკავებულ პოლიტიკას. დემოკრატია და გამჭვირვალობა ისახება, გრძელვადიანი პროცესად, თუმცა, იგი ვერ მოიტანს მოკლევადიან შედეგებს. შესაბამისად, ევროპულ ინტეგრაცია გამოცხადებულია სომხეთის საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან, გრძელვადიან მიმართულებად (Freire & Simão, 2007).

აზერბაიჯანი ევროკავშირისთვის სტრატეგიული ენერგეტიკული პარტნიორია და გადამწყვეტ როლს ასრულებს კასპიის ენერგორესურსების ევროკავშირის ბაზარზე გატანაში. 2018 წელს ევროკავშირმა და აზერბაიჯანმა დაამტკიცეს პარტნიორობის ერთობლივი პრიორიტეტები (European Commission, 2020). ევროკავშირი აზერბაიჯანის ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო დონორია. ადრეული თანამშრომლობის შედეგად პოზიტიური გავლენის მოხდენის შესაძლებლობა გაჩნდა საერთო ინტერესების სფეროებში. როგორც აზერბაიჯანის წარმომადგენელმა განაცხადა, "ნავთობის ახალი მარშრუტები დაეხმარა აზერბაიჯანს გამხდარიყო ევროპული ოჯახის ნაწილი" (Simão, 2012).

ენერგეტიკული შემოსავლები აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საკითხი გახდა, განსაკუთრებით, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ. ENP-ის წვლილი შეიზღუდა აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან ევროკავშირის ფინანსური დახმარებისადმი ინტერესის არ ქონის გამო. აზერბაიჯანი დღეს მნიშვნელოვანი ენერჯის მიმწოდებელი და სატრანზიტო ქვეყანაა ევროკავშირის ბაზრებისთვის, რაც ზრდის ევროკავშირთან სტრატეგიულ უპირატესობას. აზერბაიჯანმა გადამწყვეტა უზრუნველყოს სტაბილურობა, ვიდრე დემოკრატიულობა. სწორედ ამიტომ, ევროკავშირის საკმაოდ შეზღუდულია პირობითობის პოლიტიკის განხორციელების მხრივ. კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ევროკავშირის აღქმა აზერბაიჯანში. ევროკავშირის არათანმიმდევრული მიდგომა ყარაბაღის მიმართ, განსაკუთრებით, აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის ღიად მხარდაჭერის სურვილის არ არსებობა, განსხვავებით საქართველოსა და მოლდოვისგან, ორმხრივ ურთიერთობებში დაბრკოლებების მიზეზი გახდა. ევროპული მიდგომის არაპოპულარობას ისიც განაპირობებს, რომ აზერბაიჯანისათვის ეს პოზიცია სომხეთის პოზიციის მხარდაჭერას უდრის (Simão, 2012).

ევროკავშირის ურთიერთობა ყარაბაღის ლიდერებთან თითქმის არარსებულია, სწორედ, მისი არაღიარების პოლიტიკიდან გამომდინარე (Lynch, 2004). კომუნიკაციის არარსებობამ და აზერბაიჯანთან ყველანაირი თანამშრომლობის შეკვეცამ ყარაბაღი კიდევ უფრო დაახლოვა სომხეთის კონტროლს² და დამოკიდებულებას. ევროკავშირის მხრიდან ყარაბაღის დამოუკიდებელი რესპუბლიკისადმი ჩართულობის ნაკლებობა შეიძლება აიხსნას მისი შეზღუდული, მაგრამ მზარდი ჩართულობით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის რეგიონის ხელმძღვანელობასთან მიმართებით. ევროკავშირის მიდგომა საქართველოში გაჭიანურებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით, 2008 წლის ომის დაწყებამდე, ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს განვითარებისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობით, ევროკავშირი არა მხოლოდ აუმჯობესებს დევნილთა საცხოვრებელ პირობებს, არამედ ეხმარება მშვიდობის დამყარებას. თუმცა, მოცემული არ გავრცელებულა ყარაბაღზე. რაც გახდა ამ ტერიტორიაზე ევროკავშირის პოტენციური როლის შერყევის მიზეზი (Simão, 2012).

რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. იმისათვის, რომ უკეთ გავცნოთ მოცემულ დინამიკას, უნდა ვიცოდეთ და გვესმოდეს ორმხრივი ურთიერთქმედების ხასიათი და ორ სუბიექტს შორის ჩამოყალიბებული ინსტიტუციური ჩარჩო. ევროკავშირსა და რუსეთს შორის არსებული მოვლენების ინსტიტუციონალური განვითარების განხილვისას უნდა გვახსოვდეს, ორ აქტორს შორის ურთიერთობის ჩარჩო ჩამოყალიბდა არა მხოლოდ ადრეული ევროპულ საზოგადოებასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობების საფუძველზე, არამედ ვრცელი და მუდმივად განვითარებადი ცივი ომის გადმოსახედიდან, როგორც გლობალურ, ისე ევროკავშირის დონეზე. გარკვეულწილად,

² ეს სტატია დაწერილია ნაგორნო-ყარაბაღის 2020 წლის ომამდე

მთლიანი ურთიერთობა (ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთქმედების ადრეულ ეტაპზე მაინც) შეიძლება შეფასდეს, ევროკავშირის მცდელობად, რომ რუსეთი მოაქციოს უაღრესად ინსტიტუციონალიზებულ, პოსტ-სუვერენულ შეთანხმებებში, რომლებიც ეხმადება ევროპულ ლიბერალურ ნორმებსა და ღირებულებებს, და ეფუძნება ერთპოლარული ევროპის იდეას, რომელზეც რუსეთი მუდმივად პასუხობს სანინააღმდეგო ნაბიჯებით (Forsberg & Haukkala, 2016).

აქტორებს შორის ურთიერთობის უკეთ აღსაქმელად შეგვიძლია მოვიშველიოთ *Forsberg and Haukkala*-ს მიერ შემოთავაზებული ტაქსონომია, რომელიც ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობებს ექვს ძირითადად ფაზად ყოფს, რომელიც რუსეთის საპრეზიდენტო ვადებს ემთხვევა: "ოპტიმიზმის ფაზა" (ცივი ომის შემდეგ შექმნილი ვითარების შედეგად, რომელიც გაგრძელდა 1992-1994 წლებში), "გართულებების დრო" (ხასიათდება გაცილებით დაძაბული ურთიერთობებით, გრძელდებოდა 1994-2000 წლებში), "პუტინის დაპირების" ფაზა (ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობების პოტენციური გადატირთვის დრო, გამოწვეული იყო რუსეთში ახალი პრეზიდენტის არჩევით, რომელიც გრძელდებოდა 2000-2004 წლებში), "ურთიერთგაცრუების" ფაზა (ხასიათდება არარეალიზებული შესაძლებლობებით და გაუგებრობით, რომელიც გრძელდებოდა 2004-2008 წლებში) "პარტნიორობა თანამედროვეობისათვის" ფაზა (გავლენა მოახდინა მედვედევის დღის წესრიგში ინოვაციებისა და რუსეთის მოდერნიზაციის შესახებ იდეამ) და ბოლოს "ურთიერთობების განყვეტის" ფაზა (ინყება პუტინის 2012 წლის საპრეზიდენტო ვადით) (Forsberg & Haukkala, 2016). საერთო ჯამში, აღსანიშნავია, რომ რუსეთი ყოველთვის უნდობლად ეკიდებოდა ევროკავშირს, როგორც სუპრანაციონალურ ერთეულს და ტრადიციულად "დაყავი და იბატონე" ფართო სტრატეგიას ამჯობინებდა, რომელიც ნევრ ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობას მოიცავდა.

ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობა შეიძლება უცვლელი დარჩეს მანამ, სანამ რუსეთი თანახმაა, დაემორჩილოს საერთაშორისო წესებს. თუმცა, ვინაიდან იგი მუდმივად უარყოფს საერთაშორისო სამართლის დებულებებს, ევროკავშირს პრობლემები ექმნება საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევისას. მსგავსი პრობლემები აშკარად გამოიკვეთა ევროკავშირის რუსეთის მიმართ პოლიტიკაში, პუტინის ეპოქამდე რუსეთის მხრიდან არსებობდა ინტერესი საერთო პოლიტიკური ნიადაგის პოვნასა და ევროკავშირის სანდო პარტნიორად ქცევის შესახებ (Gogolashvili, 2009, p. 95).

დასკვნის სახით, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას ფუნდამენტურად განსხვავებული მიდგომები აქვთ ევროკავშირის მიმართ. ერთის მხრივ, საქართველო მიზნად ისახავს ევროკავშირთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან სწრაფ და ქმედითუნიან თანამშრომლობას, სომხეთი კვლავ რჩება რუსეთზე დამოკიდებული ეკონომიკის, უსაფრთხოების და ენერგეტიკული თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრია, ამავე დროს, ხელი მოაწერა ევროკავშირთან ყოვლისმომცველი და გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას. მეორეს მხრივ, აზერბაიჯანს არა აქვს ინტერესი ევროკავშირთან ან რუსეთთან ინტეგრაციის საკითხში და ორ აქტორს შორის მკაფიო არჩევანს არ ჩქარობს. ოფიციალურ ბაქოს აქვს ევროკავშირთან ენერგეტიკული და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ინტერესი, მაგრამ ნაკლებად ხიბლავს წევრობის პერსპექტივა. აღნიშნულ სამ ქვეყანას საკუთარი მიდგომები აქვთ ევროკავშირთან და რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში და ინტეგრაციის პროცესში სამ სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან. სამივეს აქვს უსაფრთხოების ფუნდამენტური გამოწვევები, საქართველო ორი ტერიტორია (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი) ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ხოლო სომხეთი და აზერბაიჯანი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში არიან ჩართულნი. რუსეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღნიშნულ კონფლიქტში, როგორც უსაფრთხოების გარანტი სომხეთისთვის და იარაღის მიმწოდებელი ორივე ქვეყნისთვის.

ბოლო პერიოდში, ევროკავშირის გაზრდილი ინტერესი მისი აღმოსავლეთის «სამეზობლოში» განიხილება, როგორც დნესტრისპირეთის გაყინული კონფლიქტის შესაძლო გადაწყვეტის გზა. კიშინიოვში კომუნისტური ავტორიტარული რეჟიმის დაცემა და ტირასპოლში სმირნოვის რეჟიმის კრიზისი ადაპტირდა კონფლიქტის პირობებში. მოლდოვას კონფლიქტში ევროპული მონაწილეობა კრემლის მიერ აღიქმება, როგორც საკუთარ პოლიტიკაში ჩარევა. გარდა ამისა, 2008 წლის ომი სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ნათელს ხდის, რომ რუსეთი ცდილობს დაუბრუნდეს 1990-იანი წლების პოლიტიკას, როდესაც პოსტსაბჭოთა გაყინული კონფლიქტები ინსტრუმენტალიზაციისთვის გამოიყენებოდა (Tudoroiu, 2012).

2014 წელს მოსკოვის მიერ ყირიმის ანექსიამ და დონბასში წარმოებულმა ომმა საერთაშორისო თანამეგობრობას მოულოდნელად შეახსენა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში არსებული გადაუქ-

რელი კონფლიქტები. ამასთან, გერმანია და მისი ევროკავშირის წევრი პარტნიორები ზედმეტად იყვნენ გართულები უკრაინის კრიზისით, და სათანადო რეაგირება არ მოახდინეს დნესტრისპირეთში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში და მთიან ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებზე (Fischer, 2016).

3. ევროკავშირის საშინაო პოლიტიკის თავისებურებები

ეროვნულ დონეზე, წევრ ქვეყნებს უწევთ გაუმკლავდნენ ორმხრივი ურთიერთობების დინამიკას და ურთიერთჩართულობის იმ ტრადიციებს, რომელიც კონკრეტულ სახელმწიფოსთან აკავშირებთ. ზემოთ აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც რუსეთთან ურთიერთობებს განვიხილავთ, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის განსაკუთრებით მგრძობიარე საკითხს წარმოადგენს, რომელიც ხშირად გამხდარა აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი. 2007 წლის ცნობილ ნაშრომში "ანგარიშგების ძალა ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში", მკვლევარებმა მარკ ლეონარდმა და ნიკუ პოპესკუმ (Mark Leonard; Nicu Popescu) სცადეს წევრი ქვეყნები რუსეთის მიმართ მიდგომის საფუძველზე დაეყოს და შემდეგი კატეგორიები ჩამოაყალიბეს: "ტროას ცხენი" - კვიპროსი და საბერძნეთი, ხშირად იცავენ რუსეთის ინტერესებს ევროკავშირის სისტემაში და მზად არიან, დაადონ ვეტო ევროკავშირის საერთო პოზიციებს, "სტრატეგიულ პარტნიორებს" (საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ესპანეთი) განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ რუსეთთან, "პრაგმატული მეგობრები" (ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ფინეთი, უნგრეთი, ლუქსემბურგი, მალტა, პორტუგალია, სლოვაკეთი და სლოვენია) მჭიდრო ურთიერთობას ინარჩუნებს რუსეთთან და მათ ბიზნეს ინტერესებს პოლიტიკურზე მაღლა აყენებენ, "ცივი და პრაგმატული წევრები" (ჩეხეთი) დანია, ესტონეთი, ირლანდია, ლატვია, ნიდერლანდები, რუმინეთი, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი) ყურადღებას ამახვილებენ ბიზნეს ინტერესებზე, მაგრამ ნაკლებად ეშინიათ რუსეთის კრიტიკისა ადამიანის უფლებების საკითხებზე, ხოლო "ახალი ცივი მეომრების" (ლიტვა და პოლონეთი) მოსკოვის მიმართ მტრული ურთიერთობებით გამოირჩევიან და მზად არიან გამოიყენონ თავიანთი ვეტოს უფლება ევროკავშირის მოლაპარაკებების დასაბლოკად რუსეთთან (Popescu & Leonard, 2007). რა თქმა უნდა, ეს კატეგორიები მეტად ზოგადია და, შესაძლოა, ხშირად შეცდომაში შემყვანიც აღმოჩნდეს, ვინაიდან ეროვნული პოზიციები იცვლება და შეიძლება განსხვავდებოდეს წინასწარ განერილი როლისგან, ასევე პოზიციები დამოკიდებულია კონკრეტული საკითხის მნიშვნელობასა და პოლიტიკურ ლანდშაფტში მიმდინარე მოვლენებზე.

ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავება რუსეთთან დაკავშირებით ყოველთვის ინვესტა წევრ ქვეყნებს შორის განეგ-გამონევა. პირველ რიგში, იმიტომ, რომ შიდა პრიორიტეტებსა და ძალაუფლებას შორის განსხვავება ინვესტა სახელმწიფოებს შორის შიდა დავებს. გარდა ამისა, ყველაზე დიდ წევრებს, გერმანიასა და საფრანგეთს ყველაზე დიდი გავლენა აქვთ ზემოაღნიშნულ ურთიერთობებზე, მაგრამ ისინი არ იზიარებენ იმ ისტორიას, რაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს აქვთ. რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობის სპეციფიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონკრეტული საკითხების შემუშავებაში (Schmidt-Felzmann, 2014, p. 4).

2008 წელს რუსეთმა დაამტკიცა "რუსეთის საგარეო პოლიტიკის დოქტრინა", რომელშიც გერმანია, საფრანგეთი და იტალია, გარკვევით აღინიშნა, როგორც რუსეთის ინტერესების განვითარების შესაძლო პარტნიორები, მოგვიანებით ესპანეთი, საბერძნეთი და ფინეთი დაემატა თანამშრომლობის სიას. ამკარაა, რომ ეს არის ის სახელმწიფოები, რომლებმაც სხვადასხვა დროს ხელი შეუშალეს ან შეანელებს ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავება რთულ საკითხებზე და მხარს უჭერენ ნაკლებად მკაცრ მიდგომას. ყოფილ წევრ ქვეყანას, დიდ ბრიტანეთს საკმაოდ არამყარი ურთიერთობა აქვს რუსეთთან, რადგან წარსულში შეიმჩნეოდა თანამშრომლობა, მაგრამ ახლო წარსულში გამოირჩეოდა რუსული ჩარევის მკაცრად დაგმობით, თუმცა, ბრიტანეთის არასტაბილური მიდგომით ნათელია უკრაინის საკითხზე ბრიტანეთის დიპლომატიურ ძალისხმევის არარსებობის ძირითადი მიზეზი. კიდევ ერთი სახელმწიფო, რომელიც თავს იკავებს ზემოთხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ნიდერლანდებია, რუსეთის ეკონომიკური და ენერგეტიკულ წყაროებზე დამოკიდებულების გამო (Schmidt-Felzmann, 2014, p. 6). ბევრი მეცნიერი ადანაშაულებს გერმანიას, საფრანგეთს, იტალიასა და საბერძნეთს ევროკავშირის უუნარობასა და მკაცრი მიდგომის არარსებობაში.

4. ევროკავშირის რეზოლუციები, პოლიტიკა და რეაგირების მექანიზმები კონფლიქტებზე

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ევროკავშირი მიზნად ისახავს მშვიდობის დამყარებას, კონფლიქტის თავიდან აცილებას და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებას. ეს ამკარას ხდის, რომ ევროკავშირი გეგმავს გრძელვადიან ჩართულობას კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად (Thapa, 2015). ევროკავშირმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა უსაფრთხოების ანგარიშგასანევ აქტორად ჩამოყალიბებისაკენ, 1992 წლის მასტრიხტის ხელშეკრულებაში საერთო უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის (CFSP) და 1999 წელს ევროპული უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის დაარსებით. (Helmerich, 2007). მხოლოდ ESDP-ის ფარგლებში, 2003 წლიდან ევროკავშირმა განახორციელა 27-ზე მეტი მისია. აღიანსმა სამხედრო სამშვიდობო მისია გაგზავნა ბოსნია-ჰერცეგოვინაში, სადამკვირვებლო მისიაში საქართველოში, ხოლო ავღანეთსა და ერაყში ჩაატარა პოლიციის სანვრთნელი მისიები. (Grevi, Helly, & Koehane, 2009).

ევროკავშირი ფლობს კონფლიქტის მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორცაა ერთობლივი განცხადებები, ერთობლივი მოქმედებები, საერთო სტრატეგიები, საერთო პოზიციები, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლობა, ეკონომიკური სანქციები, ESDP-ის სამოქალაქო, პოლიციური და სამხედრო ოპერაციები და სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიზაციის სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერის გზები. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ან ახალი აღმოსავლეთის პარტნიორობის მსგავსი პოლიტიკა, დამატებით, ევროკავშირს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს პირობითობის პრინციპი კონფლიქტების მართვის მცდელობებში, "სადაც ევროკავშირის კანდიდატმა ქვეყნებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი პატივს სცემენ დემოკრაციას და კანონის უზენაესობას და მხოლოდ ამის შემდეგ აქვთ ევროკავშირის წევრობის უფლება. კომისია მათ განევიანების პროცესს პირობითობის პრინციპის შესაბამისად წარმართავს" (Glüpker, 2013) (Whitman & Wolff, 2010).

ამ ინსტრუმენტებთან ერთად, ევროკავშირი ხელს უწყობს კონფლიქტის მოგვარებას «კონსტრუქციული ჩართულობის» გზით. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც იყენებს თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმას, რომელიც, როგორც წესი, განისაზღვრება მესამე ქვეყნებთან შეთანხმებებით (Thapa, 2015). მაგალითად, ასოცირების ხელშეკრულებები საქართველოსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან ერთად გრძელვადიანი სტრუქტურული ცვლილებების ხელშემწყობი საშუალებები იყო.

2009 წლის 10 ნოემბერს ევროკავშირის საბჭომ მიიღო კონცეფცია ევროკავშირის მედიაციისა და დიალოგის შესაძლებლობების გაძლიერების შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო ევროკავშირის ჩართულობას მედიაციისა და დიალოგის სფეროში, ასევე, შემუშავდა კონკრეტული ნაბიჯები ევროკავშირის შესაძლებლობების ამაღლების მიმართულებით. საბჭოსა და პარლამენტის ერთობლივი კონცეფცია საფუძვლად დაედო ევროკავშირის ჩართულობას მოცემულ სფეროში (Council of European Union, 2009). ევროპარლამენტის 2019 წლის რეზოლუცია კონფლიქტის პრევენციისა და შუამავლობის საკითხებში ევროკავშირის შესაძლებლობების განვითარების შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ ძალზე ბუნდოვანი დოკუმენტია. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დოკუმენტი ითვალისწინებს კონკრეტულ ქმედებებს, როგორცაა შუამავლების გადამზადება და ახალი ინიციატივები მშვიდობისა და დემოკრატიისთვის, თუმცა, ზემოთაღნიშნული ქმედებები მხოლოდ შიდა ორგანოებზეა გათვლილი (European Parliament, 2019).

2019 წელს ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო ევროკავშირისა და რუსეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მხარდაჭერა და სერიოზული სანქციების დაპირებაც კი გასცა. რეზოლუციამ, ასევე, დაადასტურა ევროკავშირის შეშფოთება დნესტრისპირეთში, სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთში, დონბასსა და მთიან ყარაბაღში რუსეთის მონაწილეობასთან დაკავშირებით - "ეს სერიოზულ დაბრკოლებებს წარმოადგენს დაინტერესებული მეზობელი ქვეყნების განვითარებისა და სტაბილურობისთვის, ძირს უთხრის მათ დამოუკიდებლობას და ზღუდავს მათ თავისუფალ სუვერენულ არჩევანს". საინტერესოა, რომ მოცემულ დოკუმენტში ყირიმის უკანონო ოკუპაცია და ანექსია ყველაზე ხშირად არის ნახსენები და დაგმობილი ზემოაღნიშნულ კონფლიქტებს შორის (European Parliament, 2019). აღსანიშნავია, რომ დებატებისას ყირიმის საკითხი წინ წამოსწია თითქმის ყველა მონაწილემ, თუმცა საქართველოსა და მოლდოვაზე მხოლოდ ერთმა დეპუტატმა გაამახვილა ყურადღება, რომელმაც აღნიშნა, რომ მას ურჩევნია კარგი ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთან, მაგრამ პუტინის აგრესია ზედმეტად ფართომამუტაბიანია არა მხოლოდ უკრაინის, არამედ ევროკავშირისთვის.

ვმირის აღმოსავლეთ პარტნიორების - მოლდოვასა და საქართველოსადმი და მიმართულია პირდაპირ ევროკავშირისკენ.

ევროპარლამენტმა 2018 წლის 14 ივნისს მიღებულ რეზოლუციაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რუსეთის შემოჭრიდან 10 წლის შემდეგ აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაცია განაგრძობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის საქართველოს ტერიტორიების უკანონო ოკუპაციას (European Parliament, 2018). 2015 წლის 15 იანვარს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია უკრაინაში შექმნილი ვითარების შესახებ (2014/2965(RSP), სადაც მკაცრად გმობს ძალადობის ესკალაციას მშვიდობიანი მოქალაქეების, ჟურნალისტების, სტუდენტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების, ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისა და სასულიერო პირების მიმართ. რეზოლუციის პირველი პუნქტი რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსიის ფაქტს უსვამს ხაზს (European Parliament, 2014).

ნათელია, რომ ევროკავშირს არ აქვს ჰოლისტიკური მიდგომა, როდესაც საქმე ეხება პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს. რაც შეეხება რუსეთს, მასთან მიმართებით თავს იკავებს ძლიერი და მომთხოვნი ენის გამოყენებისაგან, თუმცა, ამავდროულად მიდგომის შეცვლის აუცილებლობას უსვამს ხაზს. რაც შეეხება საქართველოს, ევროკავშირი საკუთარ მხარდაჭერას დოკუმენტების საშუალებით განამტკიცებს, მაგრამ რეზოლუციებს ხელშესახები შედეგები არ მოაქვთ. უკრაინა აშკარა მაგალითი იყო ევროკავშირის ინტერესების და რუსეთის წინააღმდეგ არ წასვლის სურვილის შეჯახებისა, როდესაც ყირიმის კონფლიქტთან დაკავშირებით სანქციები დაწესდა. დოკუმენტებში მთიან ყარაბაღსა და დნესტრისპირეთში რუსეთის მონაწილეობის შესახებ დისკუსიების ნაკლებობამ აჩვენა, რომ თანამშრომლობის სურვილის სიმცირემ და დემოკრატიზაციისკენ არასტაბილურმა გზამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ევროკავშირის მოსაზრებებზე, როდესაც საქმე ამ ქვეყნებს ეხებოდა.

5. კონფლიქტების მოგვარების საკითხში ევროკავშირის ჩართულობის შეფასება

ევროკავშირის მონაწილეობა და პოლიტიკა სამეზობლო კონფლიქტებში ასახავს მის მიმდინარე პრობლემას, რადგან ევროკავშირს სურს, გაზარდოს გავლენა მის ხელთ არსებული მთავარი ინსტრუმენტის - განევირანების პერსპექტივის გარეშე. მეორეს მხრივ, ამ ინსტრუმენტის ეფექტურობა დამოკიდებულია თავად კონფლიქტური სახელმწიფოს მისწრაფებებზე, მოლდოვას და საქართველოს შემთხვევაში ევროკავშირისგან მოსალოდნელია მაღალი ფასი, ვიდრე ის რეალურად სთავაზობს ამ ქვეყნებს (Kamov, 2006). ამის მიუხედავად, ამ ქვეყნების სურვილმა გაზარდა კონფლიქტებში ევროკავშირის უფლებამოსილება. მოლდოვას შემთხვევაში ევროკავშირის საზღვრებთან სიახლოვემ, ასევე, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირს ნორმატიული გავლენა აქვს სამხრეთ კავკასიის რეგიონში კონფლიქტების მოგვარების პროცესში. ცხადია, ევროკავშირი ხელს უწყობს ამ პრინციპს საკუთარი ისტორიიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კი, მშვიდობის შესანარჩუნებლად, ნევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის დამყარების გზით. დავების მშვიდობიანი გზით მოგვარება საერთაშორისო სამართლის კარგად დამკვიდრებული პრინციპია, რომელსაც ევროკავშირი მხარს უჭერს საგარეო პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე. კონფლიქტების მოგვარება, განსაკუთრებით, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტებში აღნიშნულია, როგორც ევროკავშირის მიზანი. 2006 წელს ევროკომისიამ აღნიშნა, რომ "ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ მოლოდინს მცირედ მიაღწია რეგიონში გაყინული ან ღია კონფლიქტების მოგვარებას" და უფრო აქტიური როლი მოითხოვა. სამხრეთ კავკასია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დატვირთულია სამი კონფლიქტით, რომლებსაც უარყოფითი შედეგი აქვთ პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის მხრივ. ევროკავშირი აცნობიერებს, რომ მათი გადაჭრა მნიშვნელოვანია ევროპასა და მის სამეზობლოში მდგრადი მშვიდობის დამყარებისათვის. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის ცნობიერებამ შედეგი ვერ გამოიღო პრაქტიკული ინიციატივების თვალსაზრისით, სანამ 2008 წელს სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში რეალური მასშტაბური ძალადობა განხორციელდებოდა (Stewart, 2011, p. 73).

სიტუაცია კავკასიაში არც ისე მარტივია. ერთი მხრივ, საქართველოს სურვილი და ერთგულება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ ევროკავშირი აშკარად ყოყმანობს, როდესაც საქმე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მოქმედებას ეხება. მეორეს მხრივ, არსებობენ სომხეთი და აზერბაიჯანი, რომლებიც თავს არიდებენ

ევროპულ კურსს, მაგრამ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტისადმი მიდგომა იგივე რჩება, რომელშიც ევროკავშირი კვლავ შუამავალია (Kamov, 2006). ყარაბაღში ევროკავშირის მონაწილეობა შემოიფარგლება მინსკის ჯგუფის შუამავლობის მხარდაჭერით და პირდაპირი მონაწილეობა თითქმის არ არსებობს (Paul, 2018, p. 71).

ეს ცხადყოფს, რომ ევროკავშირი კომფორტულად გრძნობს თავს დახმარებისას და მოლაპარაკებებში მონაწილეობისას, მაგრამ თავს იკავებს სანქციებისა და მკაცრი პოლიტიკის ინსტრუმენტებისგან. ამავდროულად, ჩვენ გვაქვს სიტუაცია უკრაინაში, როდესაც ევროკავშირის უსაფრთხოებას ბევრად უფრო დიდი საფრთხე ემუქრება, რაც ხსნის მის რეაქციას და ქმედით პოლიტიკას.

კონფლიქტებთან მიმართებაში, ევროკავშირმა ვერ შეძლო დაეძლია ქვეყნების სხვადასხვა მიდგომები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოგვარდეს რუსეთთან ურთიერთობა და გახლეჩილია ორ ბანაკს შორის, რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის მომხრეთა (მაგალითად საფრანგეთი და გერმანია, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ ორმხრივ ურთიერთობებს რუსეთთან, ვიდრე ევროკავშირის საერთო მიდგომას) და რუსეთისადმი სკეპტიკურად განწყობილ ქვეყნებს შორის (მათ შორის, პირველ რიგში, პოლონეთი, შვედეთი და ბალტიის ქვეყნები), რომლებიც უფრო მკაცრ პოლიტიკას ამჯობინებენ. ეს განხეთქილება ევროკავშირში ნიშნავს ევროკავშირის კარგად ცნობილი გზების გამოყენებას, რომელიც მოიცავს არანაირ ან მცირე ჩართულობას, ვიდრე კარგად გააზრებულ, სტრატეგიულ და ზუსტად გათვლილ საგარეო პოლიტიკის განხორციელებას (Whitman & Wolff, 2010). ევროკავშირის მონაწილეობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პირდაპირ კავშირშია რუსეთთან პოლიტიკურ ბრძოლასთან. რუსეთის რეალური, პრაქტიკული გზით გამოწვევა არის ისეთი ქმედება, რაც ევროკავშირს არასდროს გაუკეთებია, და საეჭვოა, რომ ამის სურვილი ჰქონდეს

აღსანიშნავია, რომ პარტნიორი სახელმწიფოების ინტერესები და მისწრაფებები ძალიან მცირე როლს თამაშობს, რადგან ამკარაა, რომ ამ ელემენტის კონტექსტიდან ამოღება უმნიშვნელო ცვლილებებს იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრო-ევროპული კურსი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მის მიღწევებში, და სომხეთის პრორუსულმა ვექტორმა გავლენა მოახდინა აქტიური პარტნიორობის არარსებობაზე, აქვე აღსანიშნავია, მოლდოვის შემთხვევა, რომელიც საქართველოსთან შედარებით არამდგრადი იყო დემოკრატიზაციის გზაზე და აზერბაიჯანი, რომელიც ძალისხმევას საერთოდ არ დებს თანამშრომლობაში, მაგრამ ყველა ზემოთ აღნიშნულ კონფლიქტში ჩართულობის ხარისხი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, ისინი კვლავ გადაუჭრელია და საფრთხეს უქმნის რეგიონალურ უსაფრთხოებას.

6. ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობები კონსტრუქტივიზმის ქრილში

რუსეთიც და ევროკავშირიც გარკვეულწილად ახალი აქტორები არიან გლობალურ ასპარეზზე და ორივე საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესშია, თუმცა, განსხვავებული მიმართულებებით. მსგავსებასთან ერთად მნიშვნელოვანია განსხვავებები საგარეო პოლიტიკურ მიდგომებსა და პოლიტიკურ ხასიათს შორის. რუსეთი ხშირად წარმოჩენილია, როგორც საერთაშორისო აქტორი, რომლის ქცევა რეალისტურ თეორიას შეესაბამება, ხოლო ევროკავშირი როგორც პოსტმოდერნისტული აქტორი. ზემოთ ხსენებულის დასაწინააღმდეგებლად მნიშვნელოვანია ის კონტექსტი, რომელშიც ორი აქტორი ფუნქციონირებს: ევროპული პოლიტიკური ლანდშაფტი, რომელშიც ისინი მოქმედებენ, 1991 წელს ძირეულად შეიცვალა და დღემდე ვითარდება. კონსტრუქტივისტული მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირისა და რუსეთის იმპულსურ ურთიერთქმედებაზე და ურთიერთობების განვითარებად ხასიათზე.

რუსეთისთვის საერთაშორისო როლის ძიება უკავშირდება როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო იდენტობის ძიებას პოსტსაბჭოთა პერიოდში. ფორმირების პროცესშია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური იდენტობაც. ევროპული იდენტობის საერთო სისუსტე (ეროვნული იდენტურობისგან განსხვავებით), ევროკავშირის გადანყვეტილების მიღების სტრუქტურის სირთულესთან ურთიერთქმედებისას კოორდინირებული საგარეო პოლიტიკის შემუშავებას ართულებს. ევროკავშირმა საგარეო პოლიტიკის უფრო მკაფიო იდენტობის ჩამოყალიბება შედარებით უახლოეს წარსულში, 1993 წელს, მასტრიხტის ხელშეკრულებაში CFSP- ის ინიცირებით მოახერხა. ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის ჩამოყალიბება და ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად, საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების პოლიტიკის კავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პოზიციის შექმნა მიზნად ისახავდა ამ პროცესის დაჩქარებას, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ რამდენად შეძლებს ევროკავშირი საერთაშორისო აქტორად გარდაქ-

მნას, ან თუნდაც, ეფექტურ რეგიონალურ მოთამაშედ დარჩენას. "ევროკავშირის უუნარობა, წარმოედგინა ერთიანი პოზიცია სხვადასხვა მნიშვნელოვან საგარეო საკითხთან დაკავშირებით (მაგალითად, ერაყის ომი, კოსოვოს საკითხი), არის ევროკავშირის, როგორც საგარეო პოლიტიკის არასტაბილური მიდგომის მტკიცებულება. შესაძლებლობებსა და მოლოდინებს შორის დიდი დაშორება ნაწილობრივ გაურკვეველი მოლოდინების ბრალია, რომელიც ევროკავშირსა და მის წევრებს აქვთ იმ ვალდებულების შესრულებაზე, რაც ამ ძალისხმევის მიღმა უნდა იყოს" (DeBardeleben, 2012).

კონსტრუქტივიზმი გვთავაზობს შორსმჭვრეტელ შეხედულებებს ცივი ომის შემდგომ პერიოდში ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობების არარეგულარული ხასიათის შესახებ. პირველ რიგში, იმის გამო, რომ ორივე აქტორის ვინაობა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია და ურთიერთობა დინამიურ საერთაშორისო კონტექსტში ვითარდება, მინიმუმ ურთიერთობის მნიშვნელობის ჩამოყალიბებას შეიძლება გადამწყვეტი როლი ჰქონდეს. მეორე, ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც გაუგებრობას იწვევს, არის ურთიერთობებში ნორმებსა და ინტერესებზე დავა: "რუსეთის ნორმატიული სურვილები ხშირად შენიღბულია ინტერესებად, ხოლო ევროკავშირის ინტერესები ხშირად გვევლინება ნორმების ფორმით" (DeBardeleben, 2012). კონსტრუქტივისტული ანალიზი, სწორედ, ზემოთხსენებული გაურკვევლობის ამოხსნაში გვეხმარება. მესამე მნიშვნელოვანი საკითხი, ურთიერთქმედების წესებს უკავშირდება, რომელიც საკმაოდ დამაბნეველია, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ორ აქტორს სრულად განსხვავებული მმართველობითი სტრუქტურა აქვთ. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ევროკავშირის მრავალსაფეხურიანი პოლიტიკის შემუშავება და მართვა გაურკვევლობისა და ბუნდოვნების წყაროა, რაც რუსეთის გადმოსახედიდან ხშირად გამოიყენება, როგორც წევრ ქვეყნებთან უშუალო მოლაპარაკების მიზეზი.

დასკვნა

ძალიან რთულია 27 სახელმწიფოს კავშირში საერთო პოზიციის მიღწევა, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ეროვნულ ინტერესებსა და საშინაო ზენოლას. მრავალფეროვანმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კავშირებმა განაპირობა ევროკავშირის ცალკეული წევრი ქვეყნების ძალიან განსხვავებული ისტორიული და ამჟამინდელი ურთიერთობები რუსეთთან, რამაც გაართულა ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების და განხორციელების პროცესი, როდესაც საქმე ეხება კონფლიქტის მართვას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ეს თავის მხრივ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ყოფს პრორუსული და ანტირუსული განწყობების მიხედვით.

ევროკავშირს აქვს კიდევ ერთი დაბრკოლება, როდესაც საქმე ეხება აღმოსავლეთ სამეზობლოში კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული ნორმების პოპულარიზაციას: ძლიერი მეზობელი სახელმწიფოს არსებობა, რომელსაც აქვს განსხვავებული ხედვა არა მხოლოდ დემოკრატიის, არამედ რეგიონული წესრიგის შესახებ. ევროკავშირის ნორმები პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის მიდგომასთან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, განსაკუთრებით *დე ფაქტო* რეგიონებში, ვინაიდან რუსეთის ფედერაცია მათი მტკიცე მხარდამჭერია.

ევროკავშირი ნორმატიულად მოქმედებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობაში, მაგრამ მისი გავლენა ნორმებთან დაკავშირებით შეზღუდულია, როდესაც საქმე დავების მშვიდობიანი გზით მოგვარებას ეხება. გაფართოების პერსპექტივის არარსებობა ამ სახელმწიფოებისთვის, განსაკუთრებით, სამხრეთ კავკასიაში, ზღუდავს ევროკავშირის ნორმატიულ გავლენას.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის "საშინაო" მიმზიდველობა და მისი ღირებულების სისტემა პროგრესულად კარგავს მხარდაჭერას აღმოსავლეთ პარტნიორობის ზოგიერთ სახელმწიფოში. კერძოდ, ამ ქვეყნების უმეტესობამ გააცნობიერა, რომ ისინი ვერ გამოიყენებენ წევრობის მოთხოვნას. ევროკავშირის წევრობისთვის საჭიროა მრავალი მაღალი დონის სტანდარტის დაკმაყოფილება. გარდა ამისა, ევროკავშირში განვერიანებაზე შეთანხმებული უნდა იყოს ყველა წევრი ქვეყანა, თუმცა, ზოგიერთი წინააღმდეგია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირში ყოფნისა. მოწინააღმდეგეთა უმეტესობა შეადგენს იმ სახელმწიფოებს, რომლებზეც პოლიტიკურ გავლენას რუსეთი ახდენს.

ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავება რუსეთთან დაკავშირებით ყოველთვის იწვევდა წევრ ქვეყნებს შორის უთანხმოებას. როგორც უკვე აღინიშნა, ის ქვეყნები, რომლებიც რუსეთმა სტრატეგიულ პარტნიორობად გამოაცხადა, როგორცაა გერმანია, საფრანგეთი, იტალია და საბერძნეთი უფრო რბილი პოლიტიკის გატარებას ცდილობენ, რადგან არ სჭირდებათ ენერგეტიკული და ეკონომიკური პარტნიორის გაღიზიანება. მეორე მხრივ, ფინეთი, უნგრეთი, ყოფილი წევრი დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები,

თავს იკავებენ რუსეთის მხარდაჭერისგან, მაგრამ თითქმის არ სურთ მონაწილეობა მიიღონ ისეთი სახის პოლიტიკის გატარებაში, რომელიც მკაცრად ეწინააღმდეგება რუსეთს. მხოლოდ ისეთი სახელმწიფოები, როგორცაა ლიტვა, ლატვია და პოლონეთი, მიმართავენ უფრო მკაცრ ზომებს.

რუსეთის მმართველობა ევროკავშირის შემდგომ გაფართოებას სერიოზულ საფრთხედ აღიქვამს. სამხრეთ კავკასიის კონტროლი ყოველთვის იყო რუსეთის პოლიტიკის პრიორიტეტი (Riegel & Bohumil, 2018). რუსეთის მთავარი იარაღი ყოველთვის სამხედრო და ეკონომიკური ძალა იყო, რაც მისი წარმატების მთავარი გარანტიაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ეთნიკურ და სეპარატისტულ კონფლიქტებს. რუსეთმა დაადასტურა კონფლიქტის ქვეყნების სამხედრო დახმარება, როგორც არსებული დავების მოგვარების ერთადერთი გზა, მაგრამ სინამდვილეში ამ სამხედრო დახმარებამ და რუსეთის, როგორც შუამავლის როლმა, გააღრმავა არსებული კონფლიქტები. რუსეთის ხედვით, როდესაც ქვეყანა, რომელიც ტრადიციულად მის გავლენის სფეროს მიეკუთვნება ისწრაფვის ევროკავშირის წევრობისკენ, რუსეთის ეკონომიკურ შესაძლებლობები მცირდება (Lambert, 2018). ეს ყველაფერი რუსული ნულოვანი ნაშთის აზროვნების ნაწილია.

თეორიული ჩარჩო ნათელს ხდის, რომ რუსეთი და ევროკავშირი ახალი აქტორები არიან გლობალურ სისტემაში, რაც ინვესს მათ ინტერესთა შეჯახებას, ძირითადად იმიტომ, რომ რუსეთს უფრო რეალისტური მიდგომა აქვს, ხოლო ევროკავშირის ქცევა უფრო პოსტმოდერნისტულია. კონსტრუქტივიზმის მიდგომის მთავარი ნერტილი იყო ის, რომ ორივეს ურთიერთქმედება საკმაოდ იმპულსურია, მუდმივად ვითარდება, რასაც ასახავს მათი ურთიერთობის ისტორია დაწყებული "ოპტიმიზმის ფაზიდან" (1992-94) დამთავრებული "ურთიერთობების განწყვიტით" (2012). კონსტრუქტივიზმი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურის სირთულეზე და აღწერს მას, როგორც ევროპული იდენტურობის სისუსტის მიზეზს. კონსტრუქტივისტული თეორია გვთავაზობს საინტერესო შეხედულებას მოცემული ურთიერთობის შესახებ და მოუწოდებს აქტორებს, რომ თანამშრომლობა დაიწყონ ურთიერთობის მნიშვნელობის შემუშავებით. აღნიშნულ თეორიაში გაკეთებული მნიშვნელოვანი მოსაზრების შესაბამისად, ევროკავშირის მრავალსაფეხურიანი პოლიტიკა ზედმეტად ბუნდოვანია, რასაც რუსეთის პარტნიორი ქვეყნები ხშირად ორმხრივი ურთიერთობების შესანარჩუნებლად იყენებენ.

ევროკავშირის მონაწილეობა კონფლიქტის მოგვარებაში სამი ცვლადის კომბინაციის შედეგია: ევროკავშირის ურთიერთობები რუსეთთან; ევროკავშირის ინტერესები და შიდა დაძაბულობა, რომლის მიზეზიც წევრი სახელმწიფოების ინტერესებია. ყოველივე ამის შესანიშნავი მაგალითი იყო უკრაინა, სადაც ევროკავშირის ინტერესი (როგორც ორგანიზაციის, ასევე, წევრი ქვეყნების) უფრო მეტი იყო, ვიდრე რუსეთი მიერ განეული რისკი - აქედან გამომდინარე მივიღეთ უკრაინის გამო ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის დაწესებული ქმედითი და უწყვეტი ეკონომიკური სანქციები. მოლდოვის შემთხვევაში, ერთი კრიტერიუმი დაკმაყოფილდა, ერთ-ერთი ნამყვანი სახელმწიფო (გერმანია) ფლობდა პირდაპირ ინტერესს და ევროკავშირი სერიოზულად აღიქვამდა პრობლემას, რადგან იგი საფრთხეს უქმნიდა მის საზღვრებს; შესაბამისად გერმანია აქტიურად უჭერდა მხარს მოლდოვის განევირანების პერსპექტივას, მათ შორის, რეზოლუციების წყალობით. თუმცა, მოგვიანებით დემოკრატიზაციის დაბალი დონის გამო, გერმანიამ დაკარგა ჩართულობის სურვილი მოლდოვაში და ფაქტობრივად აღარ ადარდებდათ, რომ რუსეთი აქტიურად მონაწილეობდა დნესტრისპირეთის კონფლიქტში. რაც შეეხება საქართველოს - ევროკავშირს აქვს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები, მაგრამ ყველა წევრი ქვეყანა არ არის დარწმუნებული. რაც მთავარია, რუსეთს აქვს ყველაზე მეტი აგრესიის ისტორია საქართველოს მიმართ, თუმცა, სახეზეა სანქციების ნაკლებობა, მაგრამ კონსტრუქციული ჩართულობის მაღალი დონე. სომხეთი და აზერბაიჯანი მკვეთრად განსხვავებული შემთხვევებია, ვინაიდან ეს ორი ქვეყანა ევროკავშირში ინტეგრაციისკენ არ ისწრაფვის; ორივეგან რუსეთი კვლავ აქტიურ როლს ასრულებს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ აზერბაიჯანული ენერჯის წყაროები ხელმისაწვდომია ევროკავშირისთვის, ამდენად ზედმეტ ძალისხმევას აღარ ხარჯავს.

დასკვის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირს არ აქვს პოლისტიკური მიდგომა, როდესაც საქმე ეხება პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს. რუსეთის გამოწვევა რეალური, პრაქტიკული გზით, იქნებოდა ისეთი რამ, რასაც ევროკავშირი არასდროს გააკეთებდა და სავარაუდოდ, არც აქვს აღნიშნულის სურვილი. ამავე დროს, მას სურს, უზრუნველყოს აღმოსავლეთ სამეზობლოს უსაფრთხოება, ძირითადად მისი ნორმებისა და ღირებულებების დაწესებით. ევროკავშირმა მიზნად დაისახა ისეთი მიდგომარეობის მიღწევა, სადაც ყველა მხარე მოგებულად თვლის თავს, რაც საბოლოო ჯამში, რეგიონში მისი გავლენის დაკარგვის მიზეზიც შეიძლება გახდეს.

ბიბლიოგრაფია

- Broers, L. (2015). From “frozen conflict” to enduring rivalry: reassessing the Nagorny Karabakh conflict. *Nationalities Papers*, 43(4), 556-576. doi:10.1080/00905992.2015.1042852
- Büscher, K. (2016). The Transnistria Conflict in Light of the Crisis over Ukraine. In S. Fischer, *Not frozen! The unresolved conflicts over Transnistria, Abkhazia, South Ossetia and Nagorno-Karabakh in light of the crisis over Ukraine* (pp. 25-42). Berlin: German Institute for International and Security Affairs
- Cașus, K., & Kosienkowski, M. (2018). Relations between Moldova and the European Union. In M. M. Paul Flenley, *The European Union and its eastern neighbourhood: Europeanisation and its twenty-first-century contradictions* (pp. 99–113). Manchester: Manchester University Press. doi:10.7765/9781526109118.00017
- Cornell, S., & Starr, F. (2009). *The Guns of August 2008*. New York: ME Sharpe
- Council of European Union. (2009, November 10). *Concept on Strengthening EU Mediation and Dialogue Capacities*. Retrieved from <https://register.consilium.europa.eu/doc/srv?l=EN&f=ST%2015779%202009%20INIT>
- DeBardeleben, J. (2012). Applying constructivism to understanding EU–Russian relations. *International Politics*, 49, 418–433. doi:10.1057/ip.2012.8
- Eastern Partnership. (2019). *EU NEIGHBOURS - Policy*. Retrieved from <https://www.euneighbours.eu/en/policy#the-eastern-partnership>
- EEAS. (2020, 06 10). *EU-Moldova relations - factsheet*. Retrieved from European Union External Action: https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/4011/eu-moldova-relations-factsheet_en
- EEAS. (2020, September). *EU-Ukraine relations - factsheet*. Retrieved from https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage_en/4081/%20EU-Ukraine%20relations%20-%20factsheet
- European Commission. (2020). *European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations*. Retrieved from https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/countries/armenia_en
- European Commission. (2020). *European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations*. Retrieved from ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/countries/azerbaijan_en
- European Parliament. (2014, September 14). *European Parliament resolution of 18 September 2014 on the situation in Ukraine and the state of play of EU-Russia relations*. Retrieved from https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-8-2014-0025_EN.html
- European Parliament. (2018, June 14). *Georgian occupied territories 10 years after the Russian invasion*. Retrieved from https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-8-2018-0266_EN.html
- European Parliament. (2019, March 12). *Building EU capacity on conflict prevention and mediation (2018/2159(INI))*. Retrieved from https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-8-2019-0158_EN.html
- European Parliament. (2019, March 12). *European Parliament resolution of 12 March 2019 on the state of EU-Russia political relations (2018/2158(INI))*. Retrieved from European Parliament: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-8-2019-0157_EN.html
- European Parliament. (2019, March 11). *State of EU-Russia political relations (debate)*. Retrieved from European Parliament: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/CRE-8-2019-03-11_EN.html
- European Parliament. (2019). *Three Eastern Partnership neighbours in the South Caucasus*. Retrieved from <http://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/172/three-eastern-partnership-neighbours-in-the-south-caucasus>
- Fischer, S. (2016). Not frozen! The unresolved conflicts over Transnistria, Abkhazia, South Ossetia and Nagorno-Karabakh in light of the crisis over Ukraine. Retrieved from https://www.ssoar.info/ssoar/bitstream/handle/document/48891/ssoar-2016-fischer-Not_frozen_The_unresolved_conflicts.pdf?sequence=1&isAllowed=y&lnkname=ssoar-2016-fischer-Not_frozen_The_unresolved_conflicts.pdfdraftdraft
- Fix, L. (2014). Georgia Knocking on Europe’s Door: Russia, Georgia, and the EU Association Agreement. *Forschungsinstitut der Deutschen Gesellschaft für Auswärtige Politik*. Retrieved from <https://nbnresolving.org/urn:nbn:de:0168-ssoar-53817-3>

- Forsberg, T., & Haukkala, H. (2016). *Avoiding A New 'Cold War': The Future of EU-Russia Relations in the Context of the Ukraine Crisis*. LSE IDEAS
- Freire, M., & Simão, R. (2007). *The Armenian road to democracy: dimensions of a tortuous process*. CEPS Working Document
- Glüpker, G. (2013). Effectiveness of EU Conditionality in the Western Balkans: Minority Rights and the Fight Against Corruption. *Journal of Contemporary European Research*. Vol. 9 No. 2
- Gogolashvili, K. (2009). The EU and Georgia: The choice is in the context. *Europe in Dialogue*, 1, 92-129
- Grevi, G., Helly, D., & Koehane, D. (2009). *ESDP: The first 10 years (1999-2009)*. Institute for Security Studies, European Union
- Gvalia, G., Siroky, D., Lebanidze, B., & Iashvili, Z. (2013). Thinking Outside the Bloc: Explaining the Foreign Policy of Small States. *Security Studies*, 22(1), 98-131. doi:10.1080/09636412.2013.757463
- Helmerich, N. (2007). CFSP and ESDP - How to include new partners? In J. Varwick, & K. O. Lang, *European Neighbourhood Policy : Challenges for the EU-Policy Towards the New Neighbours*. (pp. 103-116). Leverkusen-Opladen : Barbara Budrich-Esser
- Kamov, G. (2006). EU's role in conflict resolution: the case of the Eastern enlargement and neighbourhood policy area
- Lambert, M. (2018). *Russian smart power at work in the Eastern Partnership*. Prague: Institute of International Relations
- Lehne, S. (2017). *Is there hope for EU foreign policy?* (Rep.). Carnegie Endowment for International Peace. Retrieved March 15, 2021, from <http://www.jstor.org/stable/resrep12822>
- List, C. and Spiekermann, K. (2013). Methodological Individualism and Holism in Political Science: A Reconciliation. *American Political Science Review*, 107(4), 629–643. <http://doi.org/10.1017/S0003055413000373>
- Lynch, D. (2004). *Engaging Eurasia's Separatist States*. Washington D.C.: The United States Institute of Peace Press
- Lynch, D. (2006, February). Why Georgia Matters. *Chaillot Paper*, 86, 7-73. Retrieved from <https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/cp086.pdf>
- MacFarlane, N., & Menon, A. (2014, May 23). The EU and Ukraine. *Survival: Global Politics and Strategy*, 65(3), 95-101. doi:<http://www.tandfonline.com/action/showCitFormats?doi=10.1080/00396338.2014.920139>
- Niemann, A., & De Wekker, T. (2010). Normative power Europe? EU relations with Moldova. *European Integration online Papers (EIoP)*, 14(14). Retrieved from <http://eiop.or.at/eiop/texte/2010-014a.htm>
- Nitou, C. (2016). Russian and EU's quest for status: the path to conflict in the Post-Soviet space. *Global Affairs*, 143-153. doi:10.1080/23340460.2016.1163775
- Amanda, P. A. U. L. (2018). Conflict Resolution in the South Caucasus – the Role of the EU. The Centennial of the Independence of the Three South Caucasus States: Historical Background, Contemporary Developments and Prospects of Peace and Prosperity
- Petrov, R., Van Der Loo, G., & Van Elsuwege, P. (2015). The EU-Ukraine Association Agreement: A New Legal Instrument of Integration Without Membership? *Kyiv-Mohyla Law and Politics Journal*, 1. doi:10.18523/kmlpj52678.2015-1.1-19
- Popescu, N., & Leonard, M. (2007). *A Power Audit of EU-Russia Relations*. Brussels: European Council on Foreign Relations
- Presidency of the EU. (2009). *Declaration by the Presidency on behalf of the EU on Russian plans to build up its military presence in Abkhazia and South Ossetia*. Brussels. Retrieved from <http://www.eu2009.cz/en/news-and-documents/cfsp-statements/declaration-by-the-presidency-on-behalf-of-the-eu-on-russian-plans-to-build-up-its-military-presence-in-abkhazia-and-south-ossetia-9021/>
- Roth, M. (2007). EU-Ukraine relations after the orange revolution: The role of the new member states. *Perspectives on European Politics and Society*, 8(4), 505-527. doi:10.1080/15705850701641023
- Schmidt-Felzmann, A. (2014). Is the EU's failed relationship with Russia the member states' fault? *L'Europe en Formation*, 374, 40-60. Retrieved from <https://www.cairn.info/revue-l-europe-en-formation-2014-4-page-40.htm#>

- Simão, L. (2012). The problematic role of EU democracy promotion in Armenia, Azerbaijan and Nagorno-Karabakh. *Communist and Post-Communist Studies*, 45(1-2), 193–200. doi:10.1016/j.postcomstud.2012.03.001
- Smith, B., & Harari, D. (2014). *Ukraine, Crimea and Russia*. House of Commons Library, London. Retrieved from researchbriefings.files.parliament.uk
- Stewart, E. J. (2011). Mind the Normative Gap? The EU in the South Caucasus. In R. Whitman, *Normative Power Europe* (pp. 65-82). Palgrave Macmillan
- Thapa, M. (2015, January 1). The Role of the European Union in Conflict Resolution in Nepal. *Stosunki Międzynarodowe – International Relations*, 51, 83-92. doi:10.7366/020909611201505
- Tudoroiu, T. (2012, February). The European Union, Russia, and the Failure of the Transnistrian Frozen Conflict. *East European Politics and Societies*, 26(1), 135-161. doi:10.1177/0888325411404885
- Vahl, M. (2004). *Is Ukraine Turning Away from Europe?* Brussels: CEPS Policy Brief No. 57
- Whitman, R. G., & Wolff, S. (2010). The EU as a conflict manager? The case of Georgia and its implications. *International Affairs*, 86(1), 87–107. doi:https://doi.org/10.1111/j.1468-2346.2010.00870.x

Annex 1:



EU and Eastern Partnership, marking disputed areas.

Sargsyan, Arpine. (2019). INTERNATIONAL ECONOMIC COMPETITIVENESS: INTERRELATION WITH INTEGRATION, TRADE AND INNOVATION.